

დღეს "ლიბერთი ბანკის" განახლებული სათაო ოფისი და ცენტრალური ფილიალი გაიხსნა

დღეს "ლიბერთი ბანკის" განახლებული სათაო ოფისი და ცენტრალური ფილიალი გაიხსნა, სადაც საბანკო მომსახურებით უამრავი ადამიანი შეძლებს ისარგებლოს. ფილიალის რეკონსტრუქცია რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარეობდა. განახლებული ცენტრალურ ფილიალი დაყოფილია ფიზიკური პირების და კორპორატიული კლიენტების მომსახურების ზონებად. აქ ყველა მომხმარებელს 40-ზე მეტი ოპერატორი მოემსახურება. აქვე კლიენტები შეძლებენ ისარგებლონ 24-საათიანი საბანკო მომსახურებით, რომლისთვისაც სპეციალური სივრცეა გამოყოფილი.

ცენტრალური ფილიალის მეორე სართულზე კლიენტები შეძლებენ ისარგებლონ პირადი ბანკირის მომსახურებით. აქვე ბანკის კლიენტებისთვის განთავსებულია რვა შეხვედრის ოთახი. ცენტრალური ოფისის მეორე სართულზე ასევე განთავსდა ბანკის შვილობილი კომპანია "ლიბერთი სიქიურითის", სადაც ბანკის კლიენტები შეძლებენ ისარგებლონ ნებისმიერი სახის საბროკერო მომსახურებით.

"მოხარული ვარ, რომ დავასრულეთ ბანკის სათაო ოფისის და ცენტრალური ფილიალის რეკონსტრუქცია. 2009 წლის სექტემბრის შემდეგ ჩვენ საკმაოდ ბევრს მივაღწიეთ. მომხმარებელს უკვე სამი ახალი პროდუქტი შევთავაზეთ და მალე კიდევ ერთი ახალი ტიპის ბარათს "სმარტივს" შევთავაზებთ. შემოდგომისთვის პროდუქტების რიგი სრულად იქნება განახლებული", აღნიშნა "ლიბერთი ბანკის" გენერალურმა დირექტორმა და სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ, **ლადო გურგენიძემ**.

"ლიბერთი ბანკი" საბანკო სექტორზე სწრაფად იზრდება

მთლიანი აქტივების ზრდა	აპრილი 2010-სექტემბერი 2009
ლიბერთი ბანკი	37.6%
საქართველოს საბანკო სექტორი	10.7%
წმინდა სესხების ზრდა	აპრილი 2010-სექტემბერი 2009
ლიბერთი ბანკი	42.4%
საქართველოს საბანკო სექტორი	6.8%
კლიენტების დეპოზიტების ზრდა	აპრილი 2010-სექტემბერი 2009
ლიბერთი ბანკი	61.4%
საქართველოს საბანკო სექტორი	19.6%

ლიბერთი ბანკის შესახებ

ლიბერთი ბანკი (GSE: BANK) 2002 წელს დაასდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2010 წლის 30 აპრილის მდგომარეობით 4.4% შეადგინა (2009 წლის სექტემბერში ბანკის საბაზრო წილი მთლიანი აქტივების მიხედვით 3.5% იყო). ლიბერთი ბანკს 180 ფილიალისგან შემდგარი ყველაზე დიდი ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 20,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას. 2009 წლის სექტემბერში ლიბერთი კაპიტალმა ბანკის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა და მისი რესტრუქტურისთვის დაიწყო.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.libertybank.ge ან დაუკავშირდით:

ნინო ონიანს
მარკეტინგის სამსახურის უფროსი
ტელეფონი: +995 99 380 005
ელ-ფოსტა: nino.oniani@libertybank.ge